საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 38

ქ. თბილისი 28.06.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი ამილახვარი - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, სხდომის მდივანი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თამარ გიორგობიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

ქრისტინე გაბისონია - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:
კახა შენგელია - დაწესებულების პრეზიდენტი;
ნუგზარ სხირტლაძე - დაწესებულების ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
ვახტანგ სურგულაძე - მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი;
გიორგი მახარაშვილი - პროგრამის დირექტორი;
თენგიზ ვერულავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
თამარ ჭურაძე - პროგრამის მენეჯერი;
ელენე ჯღარკავა - კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი;
ნინო ანდრიაძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ხათუნა საგანელიძე
დავით ცირამუა
გოჩა თუთბერიძე
მანანა ლობჟანიძე
დავით ბურჯანაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:15 საათზე. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - სალომე თოთიბაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერებათა მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის აკრედიტაციის განხილვა

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში“ საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის აკრედიტაციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კოდის მითითებით	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა მას დაეფიქსირებინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ექსპერტმა, ხათუნა საგანელიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია სასწავლო კურსები „ჯანდაცვის სამართალი და ბიოეთიკა“ და „ხარისხის მართვა და პაციენტის უსაფრთხოება“ გადატანილ იქნას არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კურსებად, ვინაიდან აღნიშნულ კურსებს სტუდენტი გაყავს ისეთ კომპეტენციაზე, რომელიც მეტად

მნიშვნელოვანია და ამავე დროს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის ძირითად შედეგებშიც

2. მიზანშეწონილია პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით სტუდენტების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის აქტიურობა, კერძოდ ჩართულობა თვითშეფასების ანგარიშის შემუშავების პროცესში

3. უნივერსიტეტის მხრიდან მიზანშეწონილია უფრო მეტი ზრუნვა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე

4. სასურველია გაიზარდოს ბიუჯეტში საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების (აკადემიური პერსონალის განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, ბიბლიოთეკა და სხვა) კომპონენტის ნაწილი.

რჩევები:

1. სასურველია უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის პროგრამაზე დაშვების შესახებ ჩანაწერი იყოს პროგრამაშიც, რათა სტუდენტისათვის აღნიშნული ინფორმაცია ყოფილიყო ხელმისაწვდომი

2. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები

3. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იყოს კონკრეტულად მხოლოდ ის სწავლების მეთოდები, რომელიც რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსისთვის

4. სილაბუსებში დასაკორექტირებელია ტექნიკური ტიპის უზუსტობები

5. უნივერსიტეტის მხრიდან გასაძლიერებელია საერთაშორისო მობილობაში სტუდენტების აქტიური ჩართვის მოტივაციაზე ზრუნვა

6. პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის სასურველია აკადემიური პერსონალის აფილირება უნივერსიტეტთან

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაში განხორციელებული იქნა მცირე მოდიფიკაცია, მიუხედავად გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევებისა, პროგრამა შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის დირექტორმა, გიორგი მახარაშვილმა დააფიქსირა თავისი პოზიცია. მისი თქმით, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფში, შეხვედრები ჯგუფის ფარგლებში გაიმართა არაერთხელ, ინდივიდუალური შეხვედრები შედგა აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. თითოეული შეხვედრა იყო დაოქმებული, იყო გაკეთებული სურათები და ვიდეოჩანაწერები. დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფისგან მიიღო პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხედვები, რაც შემდეგ აისახა პროგრამაში. რაც შეეხებოდა ისეთ კურსებს, როგორიც იყო „ხარისხის მართვა, სამართალი და ბიოეთიკა“ საკითხები ინტეგრირებულად იყო გათვალისწინებული და ისწავლება ისეთ სასწავლო კურსებში, როგორიცაა „ჯანდაცვის მენეჯმენტი“, „სამედიცინო ორგანიზაციების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა ჯანდაცვაში“, „ჯანდაცვის პოლიტიკა“. ხოლო თუ რომელიმე სტუდენტს სურს უფრო ვიწროდ აღნიშნული თემების შესწავლა არსებობს შესაბამისი არჩევითი კურსებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა თენგიზ ვერულავამ აღნიშნა, რომ მათი პროგრამის სტრუქტურირებას წინ უძღოდა ხანგრძლივი ანალიტიკური პროცესი, თავდაპირველად მათ შეისწავლეს რამდენიმე უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების პროგრამა, რომელიც ხორციელდება მაასტრიხტის უნივერსიტეტში (maastricht university) ბოსტონის უნივერსიტეტში (Boston University), სკრენტონის უნივერსიტეტის (University of Scranton), შესწავლილი იქნა კურიკულუმები და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ განისაზღვრა საგნების კონფიგურაცია. აგრეთვე მან აღნიშნა, რომ ისინი დაუკავშირდნენ მათ კოლეგებს მაგალითად დანიელ ვესტს, სკრენტონის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელმაც საქართველოში პირველად ჩამოაყალიბა ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამა 90 - იანებ წლებში და მისი პირადი რჩევები და მითითებებითაც გაითვალისწინეს პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბების დროს. გარდა ამისა, ჩართულები იყვნენ სხვა კოლეგებიც სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. რაც შეეხებოდა დამსაქმებლებთან ურთიერთობას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას თანამშრომლობითი ურთიერთობა ჰქონდა ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრთან, თოდუას კლინიკასთან, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან, ინგოროყვას კლინიკასთან და სხვა. მათ ჰქონდათ ურთიერთობა მენეჯერებთან, ინფორმაციის გაცვლის მიზნით, რათა დაედგინათ რა ძირითადი პრობლემები იყო სამედიცინო მენეჯერების განათლებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პრობლემები ეხებოდა ოპერაციულ მართვას, ოპერაციულ აღრიცხვას, ჯანდაცვის მენეჯმენტის ვრცლად სწავლებას, მმართველობით აღრიცხვას. მისი თქმით, მათ გაითვალისწინეს საქართველოში ჯანდაცვის მენეჯერებთან მიმართებით არსებული პრობლემები და ასახეს პროგრამაში. მათ აგრეთვე შეისწავლეს საქართველოში სამედიცინო ბაზრის საშუალებით, სხვადასხვა უნივერსიტეტების კურიკულუმი და იმის მიხედვით მოხდა აღნიშნული პროგრამის შეჯერება. მთავარი აქცენტი მიმართული იყო ისეთი უნარ-ჩვევების გაძლიერებისაკენ, როგორიცაა მმართველობითი აღრიცხვა, ოპერაციული აღრიცხვა, განავითარეს სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტი და ჰოსპიტალური მენეჯმენტი. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ჰოსპიტალური მენეჯმენტის ინსტალაციაში დაწესებულებას დაეხმარა სკრენტონის უნივერსიტეტის პროფესორი დანიელ ვესტი, რომელმაც გამოუგზავნა ახალი ლიტერატურა, ახალი მასალა, პროგრამის განვითარებისათვის და ისინი კვლავ განაგრძობდნენ კოლეგიალურ ურთიერთობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მედიცინისა და ჯანდაცვის სკოლის დეკანმა, ვახტანგ სურგულაძემ დაამატა, რომ ხარისხისა და სამართლის მომენტები ყველა საგანში იყო ჩაშლილი. მისი განმარტებით, თუ სტუდენტს ექნებოდა სურვილი უფრო დაწვრილებით შეესწავლა პროგრამა, დაწესებულება მათ ამის საშუალებას აძლევდა არჩევითი კურსების მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგნის არჩევით თუ სავალდებულო ბლოკში განსაზღვრა გახლდათ დაწესებულების პრეროგატივა, თუმცა მისი მოსაზრებით „ჯანდაცვის სამართლისა და ბიოეთიკის“ კურსი უმჯობესია თუ კი გათვალისწინებულ იქნება სავალდებულო კურსების ნუსხაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამის სილაბუსები კარგად არის სტრუქტურულად და შინაარსობრივად აწყობილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაფიქრდებოდნენ სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილებებზე.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით კურსი „აკადემიური წერა“ სასურველია იყოს სავალდებულო კურსის სახით, ვინაიდან მის მიზანს წარმოადგენს, სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავება, ლოგიკური აზროვნების განვითარება, სამაგისტრო ნაშრომის შექმნისთვის მომზადება. მან აღნიშნა, რომ წერის კულტურის ჩამოყალიბება მაგისტრანტისთვისაა აუცილებელი, მითუმეტეს

მაშინ, როდესაც პროგრამა მოიცავს კვლევით კომპონენტს. ასევე, წერის სტანდარტები, რომელიც მაგისტრანტს მაღალ დონეზე უნდა ჰქონდეს, დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების წინაპირობაა.

10:26 საათზე სხდომას შემოუერთდა ხათუნა თოდაძე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო „აკადემიური წერის" კურსი, თუმცა საუბარი ეხებოდა სწავლების მეორე საფეხურს და ნაწილს სტუდენტებისა აღნიშნული უნარ-ჩვევები უკვე გამომუშავებული ჰქონდათ საბაკალავრო საფეხურზე, სწორად ამიტომ დაწესებულებამ არ ჩათვალა საჭიროდ „აკადემიური წერის" კურსი გაეხადათ სავალდებულო. მისი თქმით, იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე მაგისტრატურის საფეხურზე იყვნენ და თვლიდნენ, რომ სჭირდებოდათ აღნიშნული უნარ-ჩვევების შესწავლა ან განვითარება არჩევითი ბლოკიდან აირჩევდნენ „აკადემიური წერის" კურსს.

10:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 10:34 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ მე-4 სტანდარტი შეფასებული ყოფილიყო, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის მაგისტრი 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რათა მას დაეფიქსირებინა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაცია და რჩევები.

რეკომენდაცია:

1. სასწავლო კურსი „ფინანსები მენეჯერებისათვის“ თავისი შინაარსით და ლიტერატურით არის შესავალი კურსი ფინანსურ აღრიცხვაში და აღნიშნული სახით არ პასუხობდა მეორე საფეხურის მოთხოვნებს. აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა გადამუშავდეს, შეიცვალოს თემატიკა, ლიტერატურა და უნდა იყოს მოყვანილი შესაბამისობაში მეორე საფეხურის მოთხოვნებთან.

რჩევები:

1. აკადემიური წერა, რომელიც არჩევითი სასწავლო კურსია, უმჯობესია შეთავაზებული იყოს სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში
2. საგანმანათლებლო პროგრამაში სასურველია გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა

3. სასურველია „კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში“ დეტალურად ჩამოყალიბდეს გასაჩივრების კომისიისგან მიღებული დასკვნის შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ფაკულტეტის დეკანმა, ელენე ჯღარკავამ აღნიშნა, რომ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის გაზიარება. მათ ჰქონდათ გამოცდილება ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში, „ფინანსური აღრიცხვის“ კურსის წაკითხვის და მოხდა მისი სილაბუსის გადმოტანა, შესაბამისად, პროგრამაში თავდაპირველად იქნებოდა შეთავაზებული ჯერ „ფინანსური აღრიცხვის“ საგანი ხოლო შემდგომ „მენეჯერული აღრიცხვის“ საგანი სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად. რაც შეეხება რჩევებს, ასევე მოხდა მათი გათვალისწინება, დამტკიცებული იქნა ახალი დებულება. რაც შეეხებოდა აკადემიურ წერას, აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის დროს კურსი გახლდათ სავალდებულო, ისევე, როგორც სემინარი „სამაგისტრო ნაშრომის მომზადება“, თუმცა პროგრამის ცვლილებებიდან გამომდინარე მოხდა მათი გადატანა არჩევითი საგნების ბლოკში. სტუდენტების გამოკითხვით დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა აღნიშნული ორი კურსის ურთიერთ გადაფარვას. შესაბამისად, იმ აპლიკანტებს, რომლებსაც არ ჰქონდათ გამოცდილება ბაკალავრიატის დონეზე თეზისის წერის, არ იცოდნენ ლიტერატურის მოძიება, არ ჰქონდათ ციტირების უნარები, მათთვის „აკადემიური წერის“ კურსი შეთავაზებული იქნებოდა არჩევითად, იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინათ წერის უნარები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათთვის მისაღებია რჩევა არჩევითი ბლოკის ნაწილის გამდიდრებასთან დაკავშირებით და აუცილებლად განახორციელებდნენ მენეჯერული ბლოკის გამდიდრებას.

საბჭოს წევრი გიორგი ამილახვარი დაინტერესდა, თუ როგორი იყო აღნიშნულ პროგრამაზე დამსაქმებელთა ჩართულობა და ვინ იყვნენ ისინი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დამსაქმებლები არიან თავად უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციებს. მუშაობდნენ ფინანსური ბაზრების მიმართულებით, ეკავათ ფინანსური დირექტორების პოზიცია მძლავრ და დიდ კომპანიებში და ა. შ. დამსაქმებლებთან გასაუბრებით კი დადგინდა, რომ მათ სჭირდებათ ამ მიმართულების ხალხი. ასევე მისი თქმით, მოცემული იყო 10-15 კომპანია, სადაც ამ პროგრამის კურსდამთავრებულები მოღვაწეობენ წამყვან პოზიციებზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად პოპულარული იყო აღნიშნული პროგრამა, ვინაიდან წარმოადგენდა სიახლეს საგანმანათლებლო ბაზარზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აპლიკანტების უმრავლესობა ირჩევდა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას, თუმცა იქ დაშვების წინაპირობა იყო ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე, სამუშაო გამოცდილება და შესაბამისად ვისაც არ ჰქონდა აღნიშნული უნარ ჩვევები და გამოცდილება, მათი მიღება ხდებოდა აღნიშნულ პროგრამაზე, მათ ყოველთვის ჰყავთ 25-28 სტუდენტი, რომლებსაც სელექციის შედეგად არჩევდნენ და შემდეგ რიცხავდნენ პროგრამაზე. შესაბამისად, რეალურად აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნა იყო.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა სწავლის გადასახადის ოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გადასახადი შეადგენს 9 900 ლარს სრული ორი წლის მანძილზე. თუმცა, დაწესებულებას აქვს ასევე შიდა დაფინანსების ძალიან კარგი მექანიზმები, 50% - იანი დაფინანსება საუკეთესო აპლიკანტებისათვის.

10:43 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 10:47 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის „მეცნიერების სამაგისტრო პროგრამას მენეჯმენტში" 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 10:47 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
სალომე თოთიბაძე